

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 014/18¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

შეკითხვა

დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას, თუ ის მიმართავს სასამართლოს არსებული კლიენტის წინააღმდეგ გადაუხდეელი ჰონორარის მოთხოვნის საფუძველით?

ანალიზი

ადვოკატისთვის მიმართვის დროს, შესაძლებელია პირმა ადვოკატს გააცნოს მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია, საქმის მასალები - აღნიშნული ეტაპიდან ადვოკატზე ვრცელდება ეთიკური ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, თუნდაც მათ შორის სამომავლოდ არ ჩამოყალიბდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაძლებელია, ურთიერთობა ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა დასრულდეს კონსულტაციის მიღების ეტაპზე, ან შეთანხმების შედეგად, ადვოკატმა დაიწყო კლიენტის საქმის წარმოება. თავისთავად ის გარემოება, რომ პირი ადვოკატთან მიდის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ნიშნავს იმას, რომ ის ანდობს ადვოკატს თავის საქმეს. შეკითხვაში აღნიშნულ საქმეში ადვოკატი არსებული კლიენტის საქმეს აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის ურთიერთობა არ შეწყვეტილა და კლიენტს გააჩნია ადვოკატისადმი ნდობა. ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია ადვოკატმა კლიენტის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს და მის წინააღმდეგ აღძრას სარჩელი. ამ დროს დაირღვევა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობისა და ნდობის პრინციპები. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დასრულდება, ადვოკატს შეუძლია ჰონორარის გადაუხდელობის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს კლიენტის წინააღმდეგ, თუმცა უნდა დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი.

დასკვნა

ადვოკატს შეუძლია მისი კლიენტის წინააღმდეგ მისთვის ჰონორარის გადაუხდელობის მოთხოვნით აწარმოოს დავა მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდგომ.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fc529d1fd0.pdf/zepiri%20014.18%20gacemis%20tarigi%2002.10.18.pdf>